საერთაშორისო ტურნირი
“OPEN GEORGIA”

დებულება

20-21 მაისი 2023

საქართველოს სპორტული
კარატეს ეროვნული ფედერაცია

დამტკიცებულია გამგეობის მიერ

მხარდამჭერი ორგანიზაციები

- საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საორგანიზაციო საკითხები

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

- დავით ტყებუჩავა - 577 545 777 (email: datotkebuchava@yahoo.com)

ტურნირის მსაჯობა

ტურნირს იმსაჯებენ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის აკრედიტირებული მსაჯები.

ტურნირის მთავარი მსაჯია მსოფლიო კარატეს ფედერაციის A კატეგორიის მსაჯი და საქართველოს სპორტული კარეატეს ეროვნული ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე თათია მელუა

ტურნირის მიზნები და ამოცანები

- საქართველოში სპორტული კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია
- სპორტსმენების და მსაჯების ხელშეწყობა, გამოცდილების მიღების და დონის ამაღლების მიზნით
- საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ სპორტსმენების სათანადო სპორტულ კონდიციაში მოყვანა

ტურნირის სარეგისტრაციო პირობები

სპორტსმენები ტურნირში იასპარეზებენ იმ ასაკობრივ კატეგორიაში, რომელიც შეესაბამება ტურნირის რეგისტრაციის დღეს 18 მაისი 2023 წელი.

ტურნირზე მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ ონლაინ ფლატფორმაზე www.sportlab.ge შესაბამის ასაკობრივ და წონით კატეგორიაში არაუგვიანეს 2023 წლის 18 მაისისა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპორტსმენი შეჯიბრზე არ დაიშვება.

შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენების ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მონაწილე სპორტული კლუბი და მისი ხელმძღვანელი.

საერთაშორისო ტურნირი “Georgia Open”-ს მონაწილეობის საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის წარმოადგენს 30 ლარს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის 25 აშშ დოლარს. კლუბებმა სპორტმენების მონაწილეობის საფასურის გადახდა უნდა განახორციელონ უნაღდო ანგარიშწორებით შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: საქართველოს ბანკი, GE21BG0000000538430942 არაუგვიანეს რეგისტრაციის დასრულების თარიღისა (18 მაისი 2023 წელი). მონაწილეობის საფასურის გადაუხდელობის ან დროულად არ ჩარიცხვის შემთხვევაში სპორტსმენი ვერ მიიღებს შეჯიბრებაზე მონაწილეობას. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ სპორტსმენის სხვადასხვა მიზეზით არ გამოცხადების შემთხვევაში სპორტმენს/კლუბს მონაწილეობის საფასური არ დაუბრუნდებათ.

ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ ის კლუბები, რომელთაც გადახდილი აქვთ წლიური საწევრო 60 ლარი და არაიურიდიული წევრი კლუბები, (წევრი ფიზიკური პირები) რომელთაც გადახდილი აქვთ შესაბამისად დადგენილი 12 ლარი.

ტრანსპორტირების და კვების ხარჯები უნდა გასწიონ შესაბამისმა სპორტულმა კლუბებმა.

ტურნირზე მოქმედი წესები

ტურნირი ჩატარდება მსოფლიო კარატეს ფედერაციის დამტკიცებული წესებით.
ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით ტურნირზე დაიშვებიან მხოლოდ საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის წევრი სპორტსმენები. გამონაკლისის სახით ასევე დაიშვებიან ინდივიდუალური მონაწილის სტატუსით საქართველოს კარატეს ფედერაციის და სხვა სტილობრივი კარატეს ფედერაციის სპორტსმენები.

სპორტსმენი რომელიც 1 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება ტატამზე შესაბამისი აღჭურვილობით (კაპა, შესაბამისი ფერის ქამარი და კარატეს ამუნიცია), დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.

10 წლის ასაკიდან სავალდებულოა „კაპა“ ყველა კატეგორიის მონაწილეთათვის, ხოლო 14 წლიდან დამცავი ჟილეტი.

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განსაზღვრული იქნება დარბაზში მოქმედების წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა, როგორც სპორტული კლუბების წარმომადგენლებისთვის, ასევე გულშემატკივრებისთვის.

სპორტული კლუბის წარმომადგენლის ან გულშემატკივრის მხირდან არაეთიკური საქციელი უმალ დაფიქსირდება ტურნირის სამსაჯო კომიტეტის მიერ და გამოტანილი იქნება შესაბამისი დისციპლინარული სასჯელი.

მწვრთვნელი სპორტული ფორმის გარეშე ტატამთან არ დაიშვება, მისი არაეთიკური საქციელის შემთხვევაში ის დისკვალიფიცირებული იქნება შეჯიბრებიდან.
სპორტსმენების აწონვა განხორციელდება 20/21 მაისს დარბაზში უშუალოდ მონაწილეობის წინ კატეგორიის გამოცხადების ეტაპზე. დასაშვებია 1 კგ ზედმეტი წონა, სპორტსმენი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას შეჯიბრებიდან დისკვალიფიცირებული იქნება, მას სარეიტინგო ქულა არ დაეწერება. ყველა სპორტსმენი ვალდებულია გამოცხადდეს მოსამზადებელ/აწონვის არეალში შეჯიბრების ორგანიზატორების მიერ გამოცხადებიდან არაუგვიანეს 15 წუთისა, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ მწვრთნელს, დაგვიანების შემთხვევაში სპორტსმენი მოიხსნება შეჯიბრებიდან.

ტურნირის ასაკობრივი და წონითი კატეგორიები

- **დამწყები (B კატეგორია)**

ასაკი	ვაჟები	დრო	ასაკი	გოგონები	დრო
6-7	-24კგ, +24 კგ	1 წთ	6-7	-22 კგ, +22 კგ	1 წთ
8-9	-27 კგ,-32 კგ, +32 კგ	1 წთ	8-9	-30 კგ, +30 კგ	1 წთ
10-11	-30კგ, -35კგ, -40კგ, -45კგ, +45 კგ	1.5 წთ	10-11	-30კგ,-35კგ,-40კგ, +40 კგ	1.5 წთ
12-13	-40კგ, -45 კგ, -50 კგ, -55 კგ +55 კგ	1.5 წთ	12-13	-42კგ, -47 კგ, -52 +52 კგ	1.5 წთ

➢ გამოცდილი

ასაკი	ვაჟები	დრო	ასაკი	გოგონები	დრო
6-7	-24კგ, +24 კგ	1 წთ	6-7	-22 კგ, +22 კგ	1 წთ
8-9	-27 კგ,-32 კგ, +32 კგ	1 წთ	8-9	-30 კგ, +30 კგ	1 წთ
10-11	-30კგ, -35კგ, -40კგ, -45კგ, +45 კგ	1.5 წთ	10-11	-30კგ,-35კგ,-40კგ, +40 კგ	1.5 წთ
12-13	-40კგ, -45 კგ, -50 კგ, -55 კგ +55 კგ	1.5 წთ	12-13	-42კგ, -47 კგ, -52 +52 კგ	1.5 წთ
14-15	-52 კგ, -57 კგ, -63 კგ, -70 კგ +70 კგ	2 წთ	14-15	-47 კგ, -54 კგ, -61 +61 კგ	2 წთ
16-17	-55 კგ, -61 კგ,-68 კგ, -76 კგ, +76 კგ	2 წთ	16-17	-48 კგ, -53 კგ,-59 კგ, -66 კგ, +66 კგ	2 წთ
18-21	-60 კგ, -67 კგ, -75 კგ, -84 კგ,+84 კგ	3 წთ	18-21	-50 კგ, -55 კგ, -61 კგ, -68 კგ,+68 კგ	3 წთ
+18	-60 კგ, -67 კგ, -75 კგ, -84 კგ,+84 კგ	3 წთ	+18	-50 კგ, -55 კგ, -61 კგ, -68 კგ,+68 კგ	3 წთ
+18	აბსოლიტური	3 წთ			
U 14	კატა		U 14	კატა	
U 18	კატა		U 18	კატა	
+18	კატა		+18	კატა	

ვაჟებს 18 წლის ზემოთ უფლება აქვთ დარეგისტრირდნენ აბსოლიტურ კატეგორიაში, სადაც არის შემდეგი საპრიზო ფონდი.

- პირველი ადგილი - 400 აშშ დოლარი
- მეორე ადგილი - 200 აშშ დოლარი
- მესამე ადგილი - 100 აშშ დოლარი

აბსოლიტურ კატეგორიაში მონაწილეობა ასევე შეადგენს 30 ლარს და მისი გადახდა უნდა განხორციელდეს რეგისტრაციის თარიღისთვის, როგორც სხვა ნებისმიერ კატეგორიაში მონაწილეობისათვის.

ასევე შეჯიბრება ჩატარდება გუნდურ ასპარეზობაში მხოლოდ უფროს ვაჟებში (+18 ასაკი) 3+1 პრინციპით. გუნდურის მონაწილეობის საფასურია 100 ლარი ერთეულ გუნდზე და აღნიშნული საფასურის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს ელექტრონულად ფედერაციის ანგარიშზე. გუნდების რეგისტრაცია და წილისყრა განხორციელდება 20 მაისს.

შენიშვნა:

B კატეგორიაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სპორტსმენებს, რომელთაც გააჩნიათ კარატეში ვარჯიშის 1 წელზე ნაკლები გამოცდილება.

სპორტსმენს, არ აქვს უფლება გამოვიდეს B კატეგორიაშიც და გამოცდილებშიც ერთდროულად, ასევე არ შეძლება სხვადასხვა ასაკობრივ ან წონით კატეგორიაში ერთი და იგივე სპორტსმენის რეგისტრაცია.

12-13 წლის კატეგორიის ჩათვლით ასპარეზობა გაიმართება ოლიმპიური სისტემით, ანუ დამარცხებული გამოეთიშება ასპარეზობას, ხოლო 14-15 და ზემოთ ასაკის კატეგორიებში შეჯიბრება წარიმართება დამამშვიდებლის სისტემით.

ტურნირის პროგრამა

18 მაისი 2023 წ. - ტურნირზე რეგისტრაციის დასრულება
20 მაისი 2023 წ. (შაბათი) შეჯიბრის პირველი დღე

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00 -9:30
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება 9:30 -10:30
- ასპარეზობის დაწყება 10:00 – 19:30
- შესვენება და დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - 14:00 – 15:00
- დაჯილდოების ცერემონია - 19:00 – 19:30

21 მაისი 2023 წ. (კვირა) შეჯიბრის მეორე დღე

- ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 9:00 -9:30
- ტურნირის მსაჯთა კომიტეტის შეკრება 9:30 -10:30
- ასპარეზობის დაწყება 10:00 – 19:30
- შესვენება, საზეიმო გახსნა და დასრულებული კატეგორიების დაჯილდოების ცერემონია - 14:00 – 15:00
- დაჯილდოების ცერემონია - 19:00 – 19:30

19 მაისს ონლაინ პლატფორმაზე www.sportlab.ge გამოქვეყნდება ტურნირის შესაბამისი კატეგორიების დაწყების დრო და შეჯიბრების მონაწილეთა სიები.

აღნიშნული ტურნირი წარმოადგენს სარეიტინგო ტურნირს და სპორტსმენებს შედეგების მიხედვით დაეწერებათ შესაბამისი ქულები. (იხ. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ნაკრების შერჩევის წესი დანართი 1). მოცემული ტურნირის სტატუსია **„საერთაშორისო ტურნირი“**

დარბაზი

შეჯიბრება ჩატარდება თბილისში, ვერის საკალათბურთო დარბაზში მ. კოსტავას 45 (ვერის ბაღის მიმდებარედ).



შეჯიბრის საორიენტაციო განრიგი

- **20 მაისი შეჯიბრების პირველი დღე**

6-7 ბიჭები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 10:30 მდე

6-7 გოგონები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 10:30 მდე

8-9 ბიჭები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 10:30 დან 11:00 მდე

8-9 გოგონები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 10:30 დან 11:00 მდე

10 -11 ბიჭები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 11:00 დან 12:00 მდე

10-11 გოგონები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 11:00 დან 12:00 მდე

12-13 ბიჭები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 13:00 მდე

12-13 გოგონები B კატეგორია ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 13:00 მდე

შესვენება / დაჯილდოვება 13:00 დან – 14:00 მდე

6-7 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 14:00 დან 14:30 მდე

6-7 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 14:00 დან 14:30 მდე

8-9 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 14:30 დან 15:30 მდე

8-9 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 14:30 დან 15:30 მდე

10 -11 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 15:30 დან 16:30 მდე

10-11 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 15:30 დან 16:30 მდე

12-13 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:30 დან 18:00 მდე

12-13 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 16:30 დან 18:00 მდე

კატა ყველა კატეგორია - 18:00 დან 19:00 მდე

დაჯილდოვება 19:00 დან – 19:30 მდე

➢ 21 მაისი შეჯიბრების მეორე დღე

14-15 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 12:00 მდე

14-15 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 10:00 დან 12:00 მდე

16-17 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 14:00 მდე

16-17 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 12:00 დან 14:00 მდე

შესვენება / დაჯილდოვება 14:00 დან – 15:00 მდე

18-21 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 15:00 დან 16:00 მდე

18-21 გოგონები ყველა წონითი კატეგორია - 15:00 დან 16:00 მდე

+18 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:00 დან 17:00 მდე

+18 ბიჭები ყველა წონითი კატეგორია - 16:00 დან 17:00 მდე

აბსოლიტური კატეგორია - 17:00 დან 18:00 მდე

გუნდური - 18: 00 დან 19: 00 მდე

დაჯილდოვება 19:00 დან – 19:30 მდე

შენიშვნა:

მოცემული განრიგი წარმოადგენს წინასწარ ინფორმაციას, თუ რა დროს დაიწყება კატეგორიების მიხედვით ასპარეზობები. შეიძლება დაგვიანდეს რომელიმე კატეგორიის დაწყება უშუალოდ შეჯიბრებაზე გაუთვალისწინებელი მოვლენის გამო, აღნიშნული განრიგი შეიძლება დაზუსტდეს 19 მაისს რეგისტრაციის დასრულების შემდგომ.